დანართი 2

დამტკიცებულია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

მერის 2024 წლის ----- იანვრის

N---------- ბრძანებით

მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში (ღონისძიება -„მოხუცებულთა სავანეში სერვისების მიმღებ პირთა დახმარება“) ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი

ბენეფიციარი ან ბენეფიციარის წარმომადგენელი განცხადებით და თანმხლები დოკუმენტებით მიმართავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25).

საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი;
- ბენეფიციარის შეზღუდული შესაძლებლობის/სოციალურად დაუცველი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ფორმა №100 საჭიროების შემთხვევაში;
- შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის სერვის ცენტრის მიერ ჩატარებული მოკვლევა;

ქვეპროგრამის ბენეფიციარის სრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა ვაუჩერი;

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმში;

ბენეფიციარმა ან მისმა წარმომადგენელმა დადგენილი წესით უნდა მიიღოს ვაუჩერი 6 თვეში ერთჯერ;

ქვეპროგრამის ბენეფიციარი დაფინანსდება ვაუჩერში მითითებული ფიქსირებული თანხით - 28 ლარი ერთ დღეზე, 2024 წლის განმავლობაში.

ვაუჩერის გაცემა ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებიდან (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) და ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტოს ადმინისტრაციული ერთეულების სერვისცენტრებიდან.